
შემოხაზე ის ნატურალური რიცხვი, რომლის ჩასმით $\frac{*}{3}$ -ის ადგილზე $\frac{*}{3}$ წილადი არაწესიერი იქნება, ხოლო $1\frac{*}{5} < \frac{17}{10}$ უტოლობა - სამართლიანი.

- ა) 1 ბ) 2
გ) 3 დ) 4

ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა სწორი?

- ა) წილადის მხოლოდ მნიშვნელის ორჯერ გაზრდით წილადი ორჯერ გაიზრდება
ბ) წილადის მხოლოდ მნიშვნელის ორჯერ შემცირებით წილადი ორჯერ შემცირდება
გ) წილადის მხოლოდ მრიცხველის ორჯერ გაზრდით წილადი ორჯერ გაიზრდება
დ) წილადის მხოლოდ მრიცხველის ორჯერ გაზრდით წილადი ორჯერ შემცირდება

$\frac{1}{8} + \frac{5}{8}$ უდრის

- ა) $\frac{8}{6}$ ბ) $\frac{6}{16}$
გ) $\frac{6}{8}$ დ) $\frac{15}{88}$

დათო აკვირდება გაჩერებაზე ავტობუსების მოძრაობას. №121 ავტობუსი ყოველ 8 წუთში მოდის გაჩერებაზე, № 163 კი – 12 წუთში. ახლა ორივე ავტობუსი ერთდროულად მოვიდა გაჩერებაზე. 1 საათის განმავლობაში კიდევ რამდენჯერ მოვა ერთდროულად ეს ორი ავტობუსი დათოს გაჩერებაზე?

- ა) 1 ბ) 2
გ) 3 დ) 4

რისი ტოლია 20-ის მარტივ გამყოფთა ჯამი?

- ა) 7 ბ) 9
გ) 21 დ) 42

ბექა გრძელ მანძილზე სირბილში ვარჯიშობს. მან 10 კილომეტრი 4250 წამში გაირბინა. რამდენი საათი, წუთი და წამი მოანდომა ბექამ ამ გარბენას?

- ა) 4 სთ და 25 წთ ბ) 42 წთ და 50 წმ
გ) 1 სთ, 10 წთ და 50 წმ დ) 4 სთ, 2 წთ და 50 წმ

ბებიამ დათო X ცალი ჩურჩხელით დაასაჩუქრა. დათომ პირველ დღეს შეჭამა ჩურჩხელების $\frac{3}{7}$ ნაწილი. ამის შემდეგ დათოს კიდევ დარჩა 4 ცალი ჩურჩხელა. შეადგინე განტოლება, რომლიდანაც შეიძლება ვიპოვნოთ, თუ რამდენი ჩურჩხელა უჩუქებია ბებიას დათოსთვის.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია $(y + 213) \cdot 67$ გამოსახულების ტოლი?

- ა) $213 \cdot 67 + y \cdot 67$ ბ) $(213+67) \cdot y$
გ) $y \cdot 67 + 213$ დ) $y + 213 \cdot 67$

თეატრის ზედა რიგში 25 ადგილია, ყოველ მომდევნო რიგში ადგილების რაოდენობა 8-ით იზრდება. რამდენი ადგილია თეატრის ზედა 4 რიგში?

- ა) 148 ბ) 150 გ) 155 დ) 140

ხელოსანი a ცალი დეტალის გამოჩარხვისთვის საჭირო დროს საათებში ითვლის ასე: $5a+8$.

ამ შესაბამისობის მიხედვით შეავსე ცხრილის ცარიელი უჯრები:

გამოჩარხული დეტალების რაოდენობა (a)	9	14
დახარჯული დრო (სთ)		

კატო და ლაშა კომპიუტერზე თამაშობენ მათემატიკურ თამაშს. ყოველ სწორ პასუხზე თითოეულს ემატება 1 ქულა, ხოლო მცდარ პასუხზე აკლდება 1 ქულა. შეკითხვაზე: რის ტოლია 19 მეტრი გვერდის მქონე კვადრატის ფართობი, კატომ უპასუხა 361 მ და 1 ქულა დააკლდა, ხოლო ლაშას 1 ქულა მოემატა. რა უპასუხა ლაშამ?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში

4 ერთნაირი კალმახი იწონის 900 გრამს. რამდენს იწონის 6 ასეთივე კალმახი?

- ა) 1800 გ
- ბ) 1 კგ და 350 გ
- გ) 1 კგ და 400 გ
- დ) 1300 გ


მოცემულია დებულებები:

- I. ბლაგვკუთხა სამკუთხედში ორი კუთხე ბლაგვია.
- II. ბლაგვკუთხა სამკუთხედში ორი კუთხე მახვილია.

ამათგან რომელი დებულებაა მართებული? შემოხაზე სწორი პასუხი.


- | | |
|-------------|--------------|
| ა) მხოლოდ I | ბ) მხოლოდ II |
| გ) ორივე | დ) არცერთი |

დააკვირდი ნახაზს. შემდეგთაგან რომელი შეიძლება იყოს მართებული?




- ა) E წერტილი წრეწირის ცენტრია
- ბ) AE წრეწირის ქორდაა
- გ) DB წრეწირის დიამეტრია
- დ) DE წრეწირის რადიუსია

ქვემოთ მოცემული სურათის მიხედვით გაარკვიე, რიცხვების რომელი წყვილი შეესაბამება ეიფელის კოშკის მდებარეობას.



- ა) (2; 2)
- ბ) (2; 3)
- გ) (3; 2)
- დ) (3; 3)

ზღარბს უნდა, რომ გაიაროს 4 უჯრით მარჯვნივ და 3 უჯრით ზემოთ:



რომელი საკვებისკენ მიემართება იგი ?


ა) ვაშლი

ბ) მსხალი

გ) სოკო

დ) მარწყვი

ნახაზზე მოცემული ფიგურის ფართობია 55 კვ.სმ. იპოვე ერთი პატარა კვადრატის ფართობი.




ა) 5 კვ.სმ

ბ) 11 კვ.სმ

გ) 55 კვ.სმ

დ) 9 კვ.სმ

ნახაზზე გამოსახულია სამი ფიგურა.



რომელია სწორი წინადადება?

- ა) ყველაზე პატარა ფართობი ამ ფიგურებიდან მესამე ფიგურას აქვს.
- ბ) პირველი და მესამე ფიგურების ფართობები ტოლია.
- გ) ამ ფიგურებიდან უდიდესი ფართობი აქვს მეორე ფიგურას.
- დ) პირველი ფიგურის ფართობი მეორე ფიგურის ფართობზე ნაკლებია.


ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა ჩაიწეროს ცარიელ უჯრაში, რომ ფართობების სიდიდეები დალაგებული იყოს ზრდის მიხედვით.

20 მ², , 22 მ²


- ა) 210 სმ²;
- ბ) 2100 სმ²;
- გ) 210 დმ²;
- დ) 2100 დმ².

ერთი უჯრედის ფართობია 2 სმ². რის ტოლია გამუქებული ფიგურის ფართობი?

- ა) 7 სმ²
- ბ) 9 სმ²
- გ) 14 სმ²
- დ) 18 სმ²




დიაგრამაზე მოცემულია სხვადასხვა საგნებში სასკოლო ოლიმპიადაზე გამარჯვებული მოსწავლეების რაოდენობები.



მოცემული სვეტოვანი დიაგრამის მიხედვით შემოხაზეთ სწორი დასკვნა:

- ა) ყველაზე მეტი მოსწავლე მათემატიკის ოლიმპიადაში მონაწილეობდა
- ბ) მათემატიკისა და ინფორმატიკის ოლიმპიადებში ერთად გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობა ორჯერ აღემატება ფიზიკის ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობას
- გ) ინფორმატიკის ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობა ოთხჯერ ნაკლებია ფიზიკისა და მათემატიკის ოლიმპიადებში ერთად გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობაზე
- დ) ფიზიკის ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობა საერთო რაოდენობის ნახევარია

დიაგრამზე მოცემულია ოთხი ოჯახის ერთი თვის შემოსავალი და დანახარჯი:



დიაგრამის მიხედვით რომელი ოჯახის დანახარჯია ყველაზე მეტი?

ა) I ოჯახის

ბ) II ოჯახის


გ) III ოჯახის

დ) IV ოჯახის


ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დიაგრამა გვიჩვენებს ერთ-ერთი მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვს, თუ ამ მუზეუმის შესახებ ცნობილია, რომ

- 2012 წლამდე დამთვალიერებელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა, გარდა 2010 წლისა
- 2009 წელს რეგისტრირებული იყო დამთვალიერებლების რეკორდულად მაღალი რიცხვი


ა)




ბ)



გ)




დ)




ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დიაგრამა გვიჩვენებს ერთ-ერთი მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვს, თუ ამ მუზეუმის შესახებ ცნობილია, რომ

- 2009 წლიდან დამთვალიერებელთა რიცხვი ყოველწლიურად იკლებდა, გარდა 2012 წლისა
- 2009 წელს რეგისტრირებული იყო დამთვალიერებლების რეკორდულად მაღალი რიცხვი


ა)



ბ)



გ)



დ)

